პროგრამა

მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსება

1. **პროექტის სახელწოდება:**

   პირველკურსელთა თანადაფინანსება.

2. **პროქტის მიზანი:**
   პროექტის მიზანია მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნვა. მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა ოჯახებს სწავლის საფასურის თანადაფინანსების სახით.

3. **პრობლემის აღწერა:**
   ხშირ შემთხვევებში მესტიის მუნიციპალიტეტის სტუდენტებს არ ეძლევათ სწავლის გაგრძელების საშუალება საჭირო თანხის უქონლობის გამო. სწორედ ამიტომ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას გადაუდებელ აუცილებლობად მიაჩნია, ხელი შეუწყოს განათლებული, პერსპექტიული და საინტერესო მომავლის მქონე ახალგაზრდების სწავლა–განათლებას და გაუწიოს მათ ფინანსური დახმარება.
4. **პროექტის შორს მიმავალი გეგმები და მოსალოდნელი შედეგები:**
   განათლებული მომავალი თაობა ჩვენი მუნიციპალიტეტის შემდგომი წინსვლა და კეთილდღეობაა. სტუდენტების დაფინანსება საუკეთესო ინვესტიციაა, რაშიც შეიძლება ინვესტიცია უყოყმანოდ ჩაიდოს და შემდგომი სარგებელი აქედან როგორც ამ ახალგაზრდების ოჯახებმა ასევე მთელმა მუნიციპალიტეტმა და ქვეყანამ მიიღოს. მესტიას დაუბრუნდება პერსპექტიული, მოტივირებული ახალგაზრდა თაობა, რომლებიც ღირსეულად შეენაცვლებიან ძველს და შეძლებენ გააუმჯობესონ და განავითარონ რეგიონი, ქვეყნის სამსახურში ჩადგნენ და შეძენილი ცოდნა სასიკეთოდ გამოიყენონ.
5. **სტუდენტთა კატეგორია და თითოეულზე გასაცემი თანხის ოდენობა:**
   პროექტის მიხედვით **1500 (ათას ხუთასი) ლარით** დაფინანსდება ყველა პირველკურსელი სტუდენტი, გარდა ცენტრალური მთავრობის მიერ დაფინანსებული სტუდენტებისა.
6. **თანადაფინანსების მიღების მიზნით, სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**
   იმისთვის, რომ მოცემული პროექტით მიმდინარე დაფინანსება შეუფერხებლად და გამჭირვალედ მიმდინარეობდეს, საჭიროა სტუდენტებმა წარმოადგინონ:
   6.1 განცხადება;
   6.2 პირადობის მოწმობის ასლი;
   6.3 საშუალო განათლების ატესტატის ასლი;
   6.4 ცნობა, რომ ბოლო 3 წელის სტუდენტი სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო მესტიის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც

მოსწავლემ დაამთავრა რაიონში საბაზო სკოლა და აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე მოუწია სხვა ქალაქში გადასვლა.

6.5 ცნობა სასწავლებლიდან, რომ აღნიშნული სტუდენტი ნამდვილად სწავლობს კონკრეტულ სასაწავლო დაწესებულებაში; (არ ეხებათ პროფესიულ კოლეჯებს)

6.6 სასწავლებლის დასახელება, მისამართი და საბანკო რეკვიზიტები.

დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და აღნიშნული თანხა დაირიცხება პირდაპირ სასწავლებლის საბანკო ანგარიშზე.

7. **პროგრამის ხანგრძლივობა:**

   პროგრამის ხანგრძლივობა 2023 წლამდე

8. **პროგრამის დაფინანსების წყარო:**

   პროგრამის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.